ხელშეკრულება

საკონსულტაციო მომსახურებაზე

მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არაგვაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისთვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების შესყიდვა

№ GOG/C/D/77-097-2012

თებერვალი, 2012 წელი

ხელშეკრულება

№ GOG/C/D/77-097-2012

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის, 2012 წლის 18 იანვრის №77 მთავრობის განკარგულების საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის იდება ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

აღნიშნული ხელშეკრულება („ხელშეკრულება“) იდება 2012 წლის 25 თებერვალს, *საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს* („შემსყიდველი“), რომლის მისამართია *თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150* და *შპს “ტრანსპროექტი”-სა* და *შპს ”Pyunghwa Engineering Consultants”* („მიმწოდებელი“), რომლის მისამართია: *თამარაშვილის №13, თბილისი, საქართველო,* შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ **შემსყიდველი მიმწოდებლისაგან** ითხოვს ქვემოთ აღნიშნულ მომსახურებას და **მიმწოდებელი** თანახმაა აღნიშნული მომსახურების გაწევაზე.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3. მომსახურება

3.1 მიმწოდებელი შეასრულებს **მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არაგვაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების შესყიდვას** (CPV 71200000), განსაზღვრულს ამ ხელშეკრულების დანართში №-1 ში და დანართში №2-ის მოთხოვნების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (შემდგომში „მომსახურება“).

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1 მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადაა 2012 წლის 25 თებერვლიდან 2012 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით, ან ნებისმიერი სხვა ვადა მხარეთა შეთანხმებისამებრ.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ოდენობა, გრაფიკი და პირობები

5.1 <u>მაქსიმალური თანხა</u>
დანართში №1 განსაზღვრული მომსახურებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის თანხას, რომელიც შეადგენს **985,000.00 (ცხრაასოთხმოცდახუთი ათასი) ლარს.** აღნიშნული თანხა დგინდება იმის გათვალისწინებით, რომ იგი შეიცავს მიმწოდებლის შემოსავალს, გასავალს და სავალდებულო გადასახადებს, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს საქართველოს კონონმდებლობის შესაბამისად.

5.2 <u>წინასწარი ანგარიშწორება</u>
შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშწორება. შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან მიმწოდებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესაბამისად. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს შესრულების დასრულებამდე სანამ არ ანაზღაურდება წინასწარი გადახდა.

5.3 <u>გადახდის გრაფიკი</u>

გადახდა იწარმოებს ეტაპობრივად ტექნიკური დავალების შესაბამისად შპს "ტრანსპროექტი"-ს ანგარიშზე

გადახდა მოხდება სამ ეტაპად:
პირველ ეტაპი – საპროექტო ჯგუფის მობილიზაცია, საველე კვლევის ანგარიშების და საბოლოო ვიზუალური ვერსიის წარმოდგენის შემდეგ 40%;
მეორე ეტაპი – დეტალური პროექტის სამუშაო ვერსიის წარმოდგენის შემდეგ 50%;
მესამე ეტაპი – პროექტზე ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ 10%.

5.4 <u>გადახდის პირობები</u>
გადახდა იწარმოებს **ლარში,** არაუგვიანეს ოცდარვა (28) კალენდარული დღისა მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოუდგენს მე-6-ე პუნქტში მითითებულ კოორდინატორს გადახდის ანგარიშს სამ ეგზემპლარად.

ანგარისწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. პროექტის ადმინისტრირება

6.1 <u>კოორდინატორი</u>
შემსყიდველი კოორდინატორად ნიშნავს *ბ-ნ თენგიზ ლაკერბაიას,* კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის

კოორდინირებაზე, ანგარიშების და სხვა წარმოსადგენი მასალების მიღებაზე და დამტკიცებაზე, აგრეთვე გადახდის მოთხოვნის მიღებასა და დამტკიცებაზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების საფუძველზე.

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივადუნაკლოდ, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ხარვეზების და დეფექტების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კანონით დადგენილი წესით.

9. კონფიდენციალურობა

აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში მიმწოდებელმა არ უნდა გაამხილოს მომსახურებასთან, აღნიშნულ ხელშეკრულებასთან, კლიენტის საქმიანობასთან ან სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული არანაირი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და კონფიდენციალურია, შემსყიდველისაგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

10. მასალების საკუთრება

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულების შესაბამისად მომზადებული ნებისმიერი სახის გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები, წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. შემსრულებელმა შეიძლება დაიტოვოს ასეთი დოკუმენტების და პროგრამული უზრუნველყოფის ასლი.

11. მიმწოდებელი არ უნდა იყოს დაკავებული განსაზღვრული საქმიანობებით

მიმწოდებელი თანახმაა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და მისი დასრულების შემდეგაც, მას და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ორგანიზაციას ეკრძალება აღნიშნული მომსახურებიდან წარმოქმნილი ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პროექტის საქონლით, სამუშაოებითა და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფა (გარდა აღნიშნული მომსახურებისა და მისი გაგრძელებისა).

12. დაზღვევა

მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა: არ გამოიყენება.

13. ვალდებულებების გადაბარება

მიმწოდებელი არ გადააბარებს ხელშეკრულებასთან ან ქვე-ხელშეკრულებასთან ან ნებისმიერ მათ ნაწილთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. ხელშეკრულების ენა და მარეგულირებელი კანონი

ხელშეკრულება რეგულირდება *საქართველოს* საკანონმდებლო აქტებით. ხელშეკრულების ენა არის *ქართული.*

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

თუ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მაშინ ამ დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს სასამართლოს გზით, შემსყიდველის ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

16. საჯარიმო სანქციები

16.1 მიმწოდებელი გადაუხდის შემსყიდველს საჯარიმო თანხას სამუშაოების დასრულების დადგენილი ვადის გადაცილებისათვის. ჯარიმა შეადგენს კონტრაქტის ფასის 0.1 პროცენტს თითოეული გადაცილებული დღისათვის, რამდენი დღითაც მიმწოდებელი დააგვიანებს პროექტის წარმოდგენას.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

17.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17.6 17.5 პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

18. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

18.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
18.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
18.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
18.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
18.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

19. ფასები

19.1 წინამდებარე ხელშეკრულების დაფიქსირებული მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.
19.2 იმ შემთხვევაში თუ უარესდება შემსყიდველის მდგომარეობა გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არ არის დასაშვები.

20. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

20.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
20.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
20.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

21. ფორს-მაჟორი

21.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

21.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

21.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

შემსყიდველი

დავით სირაძე
მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორის
პირველი მოადგილე

ხელმოწერა _____

მიმწოდებელი

ტალი ტალიაშვილი
შპს “ტრანსპროექტი”-ს დირექტორი

ხელმოწერა _____

სინგ იუნ ლიი
Ltd ”Pyunghwa Engineering Consultants”
აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი

ხელმოწერა _____

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი
ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის 150

ს/კ: 206 074 193

სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური
ფილიალი

კოდი: BAGAGE22

ა/ა: **GE17BG0000000264040906**

შპს “ტრანსპროექტი”

ქ. თბილისი თამარაშვილის №13,

ს/კ: 204 986 195

სს “საქართველოს ბანკი” ცენტრალური
ფილიალი

კოდი: BAGAGE22

ა/ა: **GE83BG0000000205513701**

21.02.2012
ქ. თბილისი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელი დირექტორის
პირველ მოადგილეს

ბატონ დ. სირაძეს

თქვენი 17.02..2012 წ. № 372-გ წერილის პასუხად გიგზავნით მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების ფინანსურ წინადადებას.

კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში საკონსულტაციო მომსახურეობას ერთობლივად შეასრულებენ შპს "ტრანსპროექტი" და კორეული კომპანია "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd. მხარეები პასუხისმგებლები იქნებიან ქვემოთ ჩამოთვლილ საკონსულტაციო მომსახურების შესრულებაზე:

- შპს "ტრანსპროექტი" პასუხისმგებელი იქნება მისასვლელი გზების, სატრანსპორტო კვანძის, გზაგამტარების დეტალურ პროექტირებაზე და გზშ, მიწის შესყიდვებისა და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე.
- "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd პასუხისმგებელი იქნება მდ. არაგვზე სახიდე გადასასვლელის დეტალურ პროექტირებაზე.

დანართი1: ფინანსური წინადადება
დანართი2: შეთანხმება საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურეობის შესრულებაზე

პატივისცემით,

შპს "ტრანსპროექტი"
გენერალური დირექტორი

ტალი ტალიაშვილი

"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი

სანგ ფუნ ლიი

სსიპ. საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი
№ 383 "21" 02 2012 წ.
6 ფურ.

21.02.2012
Tbilisi

To: Mr. David Siradze
First Deputy Executive Director
Municipal Development Fund of Georgia

Following your letter dated 17.02..2012 Ref. # 372-g we are pleased to send you the financial proposal for Consulating services (Design) for construction of a new bridge over the river Aragvi in Mtskheta Municipality.

In case of Contract award Consulting services will be carried out mutually by "Transproject" ltd and Korean company "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd. Both PARTIES will be responsible to carry out the Consulting Services as follows:

- "Transproject" ltd will be responsible for the detailed design of access roads, interchange, overpasses and EIA, LARP preparation.
- Korean company "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd will be responsible for the detailed design of a new bridge over the riv. Aragvi.

Annex 1: Financial Proposal
Annex 2: Agreement for execution of consulting (design) services

Kind regards,

"Transproject" Ltd
Director General

Tali Taliashvili

"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
Executive Vice-President

Sang-Youn Lee

დანართი 1

ფინანსური წინადადება

მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურება

მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება (ლარი)	
	შპს "ტრანსპროექტი"	"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
1	2	3
მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურება, მათ შორის:		
• "ტრანსპროექტის" მომსახურება: მისასვლელი გზების, სატრანსპორტო კვანძის, გზაგამტარების დეტალური პროექტირება და გზშ, მიწის შესყიდვებისა და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება.	508046	
• "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd მომსახურება: მდინარე არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის დეტალური პროექტირება		297000
Income tax 10%		**29700**
დღგ 18 %	**91448**	**58806**
სულ	**599494**	**385506**
მთლიანად მომსახურება	**985 000 ცხრაასოთხმოცდახუთი ათასი ლარი**	

შენიშვნა: "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd საკონსულტაციო მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება აშშ დოლარებში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის არსებული კურსით.

შპს "ტრანსპროექტი"
გენერალური დირექტორი

ტალი ტალიაშვილი

"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი

სანგ იუნ ლეი

ANNEX 1

FINANCIAL PROPOSAL

FOR CONSULATING SERVICES (DESIGN) FOR CONSTRUCTION OF A NEW BRIDGE OVER THE RIVER ARAGVI IN MTSKHETA MUNICIPALITY

Denomination of Services	Cost of services GEL	
	"Transproject" Ltd	"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
1	2	3
Consulating services (Design) for construction of a new bridge over the river Aragvi in Mtskheta Municipality Including:		
• "Transproject" ltd services: Detailed design of access roads, interchange, overpasses and EIA, LARP preparation	508046	
• "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd services: Detailed design for a New bridge construction over the riv. Aragvi		297000
Income tax 10%		**29700**
VAT18 %	**91448**	**58806**
Total	**599494**	**385506**
Total Services	**985 000** **Nine hundred eighty five thousand GEL**	

Note: Payment for the consulting services of "Pyunghwa Engineering Consultants" Ltd will be done in USD according to the existing exchange rate of the National Bank of Georgia for the day of payment.

"Transproject" Ltd
Director General

Tali Taliashvili

"Pyunghwa Engineering Consultants" Ltd
Executive Vice-President

Sang-Youn Lee

დანართი 2

შეთანხმება თანამშრომლობაზე

წინამდებარე შეთანხმება შედგა და დაიდო 2012 წლის 21 თებერვალს მხარეებს შორის:

შპს "ტრანსპროექტი", რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, 0186, თამარაშვილის 13, საქართველო (შემდგომში "ტრანსპროექტი")

და

PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. რეგისტრირებული მისამართზე: 1474-21 Gwanyang-Dong, Dongan-Gu, Anyang, Gyeonggi-Do, 431-810, კორეის რესპუბლიკა, (შემდგომში "PEC")

სადაც დადგინდა, რომ

ტრანსპროექტი და PEC შეთანხმდნენ, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 17.02.2012 წლის № 372-გ წერილის თანახმად წარადგენენ ფინანსურ წინადადებას ერთობლივად მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების შესრულებაზე.

აქედან გამომდინარე, ზემოთხსენებული ერთობლივი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საკონსულტაციო მომახურეობის შესრულებაზე კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში, მხარეები პასუხისმგებლები იქნებიან ქვემოთ ჩამოთვლილ საკონსულტაციო მომსახურების შესრულებაზე:

- ტრანსპროექტი პასუხისმგებელი იქნება მცხეთის მუნიციპალიტეტში მდ. არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების შესრულებაზე (მისასვლელი გზების, სატრანსპორტო კვანძის, გზაგამტარების დეტალურ პროექტირება და გზშ, მიწის შესყიდვების და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება).

- კორეული კომპანია "PEC" პასუხისმგებელი იქნება მცხეთის მუნიციპალიტეტში მდინარე არაგვზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო საკონსულტაციო (საპროექტო) მომსახურების შესრულებაზე (მდ.არაგვზე ხიდის დეტალური პროექტირება).

შპს "ტრანსპროექტი"	"PYUNGHWA Engineering Consultants" Ltd
გენერალური დირექტორი	აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი
ტალი ტალიაშვილი	სანგ-იუნ ლიი

ANNEX 2

COOPERATION AGREEMENT

This Agreement is made and entered into 21st day of February 2012 by and between

TRANSPROJECT LTD. with registered address at 13 Tamarashvili Street, 0186, Tbilisi, Georgia (hereinafter referred to as "TRANSPROJECT")

And

PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. with registered address at 1474-21 Gwanyang-Dong, Dongan-Gu, Anyang, Gyeonggi-Do, 431-810, Republic of Korea (hereinafter referred to as "PEC")

WITNESS THAT

WHEREAS, TRANSPROJECT and PEC agree to submit the financial proposal mutually for execution of Consulting (Design) Services for construction of a new bridge over the river Aragvi in Mtskheta Municipality on the basis of the letter of Municipal Development Fund of Georgia dated 17.02.2012 Ref # 372-g.

THEREFORE, in consideration of the foregoing and mutual covenants herein contained, both PARTIES agree that in case the Contract for the Consulting services is awarded, both PARTIES will be responsible to carry out the Consulting Services as follows:

- Transproject will be liable for the execution of the Consulting Services for construction of a new bridge over the riv. Aragvi in Mtskheta Municipality (Detailed design of access roads, interchange, overpasses and EIA, LARP preparation)

- Korean company "PEC" will be liable for the execution of the Consulting Services for construction of a new bridge over the riv. Aragvi in Mtskheta Municipality (Detailed design for construction of a new bridge over the riv. Aragvi).

For and On Behalf of

Transproject Ltd.

Tali Taliashvili
General Director

For and On Behalf of

Pyunghwa Engineering Consultants Ltd.

Sang-Youn Lee
Executive Vice-President